EUROPEAN

POLICYBRIEF

MYWeB: Measuring Youth Well-Being

რა სჭირდებათ ახალგაზრდებს საქართველოში კეთილდღეობისა და ბედნიერებისთვის

What young people in Georgia need for well-being and happiness

საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი „რა სჭირდებათ ახალგაზრდებს საქართველოში კეთილდღეობისა და ბედნიერებისთვის“, რომელიც ევროკავშირის MYWeB პროექტის ფარგლებში მომზადდა, შეაჯამებს ძირითად ფაქტორებს, რაც, ახალგაზრდების განმარტებით, მათ სჭირდებათ კეთილდღეობისა და ბედნიერებისთვის. შესაბამისად, საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი წარმოადგენს რეკომენდაციებს, თუ რაზე შეუძლიათ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, გაამახვილონ ყურადღება ახალგაზრდების კეთილდღეობის საკითხზე მუშაობის დროს საქართველოში.

პროექტი MYWeB 2014 წლის მარტში დაიწყო

2016 წლის ივნისი

მოკლე შეჯამება ინგლისურ ენაზე

The policy brief aims to showcase basic domains of well-being and happiness, as perceived by young people in Georgia. It is based on focus groups and interviews with young people, conducted by CRRC-Georgia in November 2014, as well as data from the Delphi online survey with key informants n Georgia in October and December 2014 and February 2015. The policy brief bases part of its recommendations on qualitative interviews with key informants from non-governmental organisations and the Ministry of Sports and Youth Affairs of Georgia. The document highlights areas, in which local and central governments and non-governmental organisations can contribute to improving the well-being of young people in Georgia.

Focus groups and interviews with young people showed that self-realisation and integration into society are very important domains of well-being for young people in Georgia. They find it crucial that society understands and accepts them. Young people in Georgia are not satisfied with life, as living standards in Georgia do not correspond to their needs; for example, many talented young people cannot afford to study at university. At the same time, it is hard for young people to develop and realise their full potential in areas that are not mainstream for society. Interestingly, teenagers report being unsatisfied with the way society treats "different" people, including people of other ethnicities or different skin colour. Society is sometimes selective based on gender as well. In addition, when it comes to society, young people in Georgia complain that being young often means that older people will not count your opinion even if it is reasonable.

Since both young people and state-non-state experts highlight the importance of involvement of young people in public life, (1) it is important to motivate them to be active. The government, both central and local, should work more on kindling the interest of young people and creating a platform for them to express their opinion and enrol in the discussion and solution of local issues. (2) It is crucial to give young people the chance of self-realisation, whether it is receiving education or supporting their interest in various directions through competitions, meetings, exchange events, etc. (3) Experts working on youth issues in Georgia reiterate that it is hard to find reliable data on well-being of young people in Georgia. Therefore, joint efforts are needed to collect systematic and regular data that would take into consideration views of young people themselves, of their parents, and of experts working on youth issues in the country.

პროექტი MYWeB

პროექტი MYWeB (ახალგაზრდების კეთილდღეობის კვლევა) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტია, რომელიც იკვლევს, რამდენად შესაძლებელია „ბავშვებისა და ახალგაზრდების ევროპული გრძელვადიანი კვლევის" (European Longitudinal Study for Children and Young People - ELSCYP) ჩატარება მათი კეთილდღეობის შესასწავლად. ევროპის 11 ქვეყნის (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ესტონეთი, ლატვია, პორტუგალია, საბერძნეთი, საქართველო, სლოვაკეთი, უნგრეთი, ხორვატია) 13 უნივერსიტეტი და კვლევითი ორგანიზაცია ერთობლივად მუშაობს იმ ინფორმაციის გამოსავლენად, რაც უკვე არსებობს ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობის საკითხებზე. ეს ინფორმაცია მოიცავს ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტებს და იმ გამოწვევებს, რაც ასეთი დიდი მასშტაბის კვლევის ჩატარებას სდევს თან.

პროექტი ორიენტირებულია შემდეგ საკითხებზე:

- კეთილდღეობის ობიექტური და სუბიექტური გაზომვა
- ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და სიღარიბის გაზომვა
- მდგომარეობა ოჯახში, მათ შორის მშობლების დაშორება და ოჯახების ხელახლა შექმნა და ამის გავლენა ბავშვებზე
- ბავშვების/ახალგაზრდების გამოცდილება სასწავლო დაწესებულებებსა და სახლში
- სწავლიდან მუშაობაზე გადასვლა
- ახალგაზრდებში ურთიერთობების ჩამოყალიბება და დინამიკა
- სამეგობრო წრის ჩამოყალიბება და დინამიკა
- ორგანიზაციებში/წრეებში ჩართულობა, სამოქალაქო და გასართობი აქტივობები

- საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობის შესწავლა.

პროექტი სხვადასხვა კომპონენტს მოიცავს, რის შედეგადაც გროვდება ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია ევროპაში საჯარო პოლიტიკის მესვეურთათვის, რომ წინ წამოიწიოს ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობასთან დაკავშირებული საკითხები. პროექტის კომპონენტებია:

- კეთილდღეობის სხვადასხვა ასპექტზე ახალგაზრდების აზრის შესწავლა. ამგვარად ახალგაზრდები ერთვებიან კვლევის ინსტრუმენტების შემუშავებაში და მონაცემების შეგროვების შესაბამისი გზების შერჩევაში
- მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო წრეებისა და პრაქტიკოსი ექსპერტების მოსაზრებების შესწავლა კეთილდღეობაზე მონაცემების შეგროვებისა და გამოყენებისთვის შესაბამისი სტრატეგიის დასადგენად
- არსებული მონაცემების წყაროების გამოვლენა
- კვლევის შესაბამისი მეთოდოლოგიის შეფასება
- „ბავშვებისა და ახალგაზრდების ევროპული გრძელვადიანი კვლევის“ (ELSCYP) ხარჯისა და სარგებლის ანალიზი.

საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის მიზანი

საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია, წარმოაჩინოს ძირითადი ფაქტორები, რაც თავად ახალგაზრდებს მიაჩნიათ მნიშვნელოვნად კეთილდღეობისა და ბედნიერებისთვის საქართველოში. ამასთან, ეს დოკუმენტი გამოყოფს საკითხებს, რაზეც სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ ყურადღების მეტად გამახვილება საქართველოში ახალგაზრდების კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

მოსაზრებები და ანალიზი

პოლიტიკის ეს დოკუმენტი ეყრდნობა ფოკუს ჯგუფებსა და თვისებრივ ინტერვიუებს, რაც CRRC-საქართველომ ჩაატარა 2014 წლის ნოემბერში თბილისში; ასევე, მონაცემებს Delphi-ს ონლაინ გამოკითხვიდან ახალგაზრდებისა და ბავშვების საკითხზე მომუშავე ექსპერტებთან, რაც სამ ტალღად ჩატარდა 2014 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში, ასევე 2015 წლის თებერვალში.

პროექტ MYWeB-ის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ახალგაზრდებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თვითრეალიზება და საზოგადოებაში ინტეგრაცია. ამ უკანასკნელისთვის ახალგაზრდები საჭიროდ თვლიან, რომ საზოგადოებას მათი ესმოდეს და მათ იღებდეს.

როგორც ფოკუს ჯგუფებმა და ინტერვიუებმა აჩვენა, ახალგაზრდები არ არიან ცხოვრებით სრულად კმაყოფილი, რადგან საქართველოში ცხოვრების სტანდარტები, მათი აზრით, არ შეესაბამება მათ საჭიროებებს. რესპონდენტებმა ისაუბრეს ახალგაზრდებზე, რომლებიც ვერ ახერხებენ თვითრეალიზაციას, მაგალითად, ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ვერ სწავლობს უნივერსიტეტში, რადგან ამის ფინანსური შესაძლებლობა არ აქვს. ასევე, ახალგაზრდებისთვის რთულია განვითარება და თვითრეალიზაცია ძირითადი და საზოგადოებისთვის მისაღები მიმართულებებისგან განსხვავებულ სფეროებში.

საინტერესოა, რომ თინეიჯერები უკმაყოფილო არიან იმით, თუ როგორ ექცევიან საქართველოში „განსხვავებულ“ ადამიანებს, მათ შორის, სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს ან განსხვავებული კანის ფერის მქონე მიგრანტებს. „ჩემი აზრით, საქართველოში საზოგადოება ძალიან კრიტიკულია და ვერ იღებს განსხვავებულ, უცნაურ ადამიანებს. ბევრი მეგობარი მყავს, რომელიც უცნაურად გამოიყურება და საზოგადოებას მათი არ ესმის. რომ შემეძლოს, აუცილებლად შევცვლიდი ამას,“ - ამბობს 16 წლის ბიჭი თბილისიდან. ყველა ფოკუს ჯგუფში და ინტერვიუების უმეტესობაში ახალგაზრდებმა დააფიქსირეს მოსაზრება, რომ საზოგადოებას ხშირად მათი არ ესმის. რამდენიმე რესპონდენტმა ახსენა, რომ უფროსი თაობა მათ მიერ გამოთქმულ, თუნდაც ჭკვიანურ მოსაზრებას სერიოზულად არ აღიქვამს. ამასთან, ახალგაზრდები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ საზოგადოებას განსხვავებული დამოკიდებულება აქვს გოგონებისა და ბიჭების მიმართ - იმავე საქციელისთვის გოგონების კრიტიკა უფრო მწვავეა.

საზოგადოების დამოკიდებულებასთან ერთად ახალგაზრდებისთვის 15 წლის ასაკიდან კეთილდღეობისა და ბედნიერებისთვის მნიშვნელოვანი ხდება ისეთი არამატერიალური ღირებულებები, როგორებიცაა თავისუფლება, დამოუკიდებლობა და მშვიდობა. 17-18 წლის ასაკში კი წინ იწევს პროფესიული განვითარება და წარმატება, მეგობრები და პირადი ურთიერთობები. საინტერესოა, რომ როცა ახალგაზრდებს სთხოვენ, წარმოიდგინონ კეთილდღეობა მაშინ, როცა ისინი საკუთარი მშობლების ასაკს მიაღწევენ, მათი უმრავლესობა მატერიალურ ფაქტორებზე საუბრობს, როგორიცაა კარგი სამსახური, შემოსავალი, ასევე ოჯახი.

მნიშვნელობა საჯარო პოლიტიკისთვის და რეკომენდაციები

ახალგაზრდების საკითხზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ინტერვიუებისა და ონლაინ გამოკითხვის დროს დაფიქსირდა მოსაზრება, რომ საჭიროა უფრო მეტად სისტემური მიდგომა ახალგაზრდების საკითხთა გამოსაკვლევად. საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი და მისი სამოქმედო გეგმა, რომელიც მთავრობამ 2014 და 2015 წლებში მიიღო ნათლად განსაზღვრავს მთავრობს სურვილს და მიზანს, რომ მხარი დაუჭიროს ახალგაზრდების განვითარებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ძალების გაერთიანება, მათ შორის, ევროკავშირისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილებისა და ექსპერტიზის გამოყენება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ახალგაზრდების ჩართულობა და მონაწილეობაა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს თავად ახალგაზრდებმაც დააფიქსირეს ფოკუს ჯგუფებსა და ინტერვიუებში და ექსპერტების მხრიდანაც გამოითქვა. გამოკითხული ექსპერტების აზრით, საკმაოდ დაბალია ახალგაზრდების ჩართულობა მათ ადგილობრივ საზოგადოებაში, ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში. საჭიროა ახალგაზრდების მოტივირება, რომ გააქტიურდნენ. ერთ-ერთი ექსპერტის თქმით, ამისათვის აუცილებელია, რომ ახალგაზრდებმა იგრძნონ, რომ მომავალში საზოგადოებაზე პასუხისმგებლები ისინი იქნებიან. მნიშვნელოვანია, მთავრობამ და საზოგადოებამ იმუშავოს ახალგაზრდების დაინტერესებაზე, მეტად გამოხატონ საკუთარი აზრი და ჩაერთონ ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში.

მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის თვითრეალიზაციის საშუალების მიცემა, იქნება ეს განათლების მიღების შესაძლებლობა, თუ მათი ინტერესების წახალისება სხვადასხვა მიმართულებით კონკურსების, შეხვედრების, გაცვლითი ღონისძიებების თუ სხვა გზით.

ახალგაზრდების საკითხებზე მომუშავე ექსპერტების თქმით, რთულია სანდო მონაცემების პოვნა ახალგაზრდების კეთილდღეობის საკითხებზე საქართველოში. ამიტომაც მნიშვნელოვანია საერთო ძალისხმევა, სანდო და რეგულარული მონაცემების შესაგროვებლად, რაც გაითვალისწინებდა როგორც თავად ახალგაზრდების მოსაზრებებს, ასევე მათი მშობლების და ახალგაზრდების კეთილდღეობის საკითხზე მომუშავე ექსპერტების შეფასებებს.

კვლევის პარამეტრები

MYWeB-ის პროექტი საქართველოში მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს:

- ბავშვებისა და ახალგაზრდების საკითხებზე ლიტერატურის, არსებული პოლიტიკისა და კვლევების მიმოხილვა ბავშვებსა და ახალგაზრდებზე საქართველოში, რომელიც CRRC-საქართველომ 2014 წლის სექტემბერში მოამზადა. ამ მიმოხილვას თან ერთვის ინფორმაცია თვისებრივი ინტერვიუებიდან UNICEF საქართველოს, ევროპის ფონდ საქართველოს და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხთა სამინისტროს წარმომადგენლებთან. ინტერვიუები და მიმოხილვა ხაზს უსვამს სანდო და გრძელვადიანი მონაცემების საჭიროებას ახალგაზრდებსა და ბავშვებზე.

- Delphi-ს გამოკითხვა - ონლაინ გამოკითხვა ახალგაზრდებისა და ბავშვების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო, სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. გამოკითხვა სამ ეტაპად განხორციელდა (2014 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში და 2015 წლის თებერვალში) და აგროვებდა ინფორმაციას და მოსაზრებებს ბავშვებისა და ახალგაზრდების შესახებ ქვეყანაში არსებული მონაცემების, კეთილდღეობის მათეული გაგების, ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობის შესწავლის გზების შესახებ. ამ გამოკითხვების დროს რესპონდენტებმა ცალსახად დააფიქსირეს გრძელვადიანი სისტემური მონაცემების არსებობის საჭიროება ბავშვებსა და ახალგაზრდებზე და მათი კეთილდღეობის შესწავლაში ობიექტურთან ერთად სუბიექტური ფაქტორების, მათი საკუთარი აღქმის ჩართვის აუცილებლობა.

- ფოკუს ჯგუფები და თვისებრივი ინტერვიუები ბავშვებთან და ახალგაზრდებთან. 2014 წლის ნოემბერში ჩატარდა 4 ფოკუს ჯგუფი (10-12 წლის ბავშვებთან, 15-16 წლის ახალგაზრდებთან, 17-19 წლის ახალგაზრდებთან, რომლებიც არ იყვნენ ჩართული რამენაირ აქტივობაში სკოლის გარეთ და 17-18 წლის ახალგაზრდებთან, რომლებიც სკოლის გარეთ სხვა აქტივობებით იყვნენ დაკავებული) და 20 ინტერვიუ 10-დან 18 წლამდე ბავშვებთან და ახალგაზრდებთან. ფოკუს ჯგუფებსა და ინტერვიუებში გამოჩნდა ახალგაზრდების მიერ საკუთარი კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რაც ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად მოიცავდა საზოგადოების მხრიდან მათი მოსაზრებებისა და საჭიროებების მიმართ ყურადღებას.

პროექტის დეტალები

პროექტის სახელი	ახალგაზრდების კეთილდღეობის გაზომვა (MYWeB)
კოორდინატორი	პროფესორი გარი პოლოკი, მანჩესტერის მეტროპოლიტან უნივერსიტეტი G.pollock@mmu.ac.uk.
კონსორციუმი	მანჩესტერის მეტროპოლიტან უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი ბრემენის უნივერსიტეტი, გერმანია პომპეუ ფაბრა უნივერსიტეტი, ესპანეთი ივო პილარის ინსტიტუტი, ხორვატია დებრეჩენის უნივერსიტეტი, უნგრეთი დაუგავპილსის უნივერსიტეტი, ლატვია პანთეიონის უნივერსიტეტი, საბერძნეთი ტალინის უნივერსიტეტი, ესტონეთი SS კირილ და მეთოდიუსის უნივერსიტეტი, სლოვაკეთი ლისაბონის უნივერსიტეტი, პორტუგალია კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, საქართველო ესექსის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი ქემბრიჯის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
დაფინანსების სქემა	FP7 ევროკავშირის ჩარჩო პროგრამა კვლევისთვის - მხარდაჭერის კოორდინირება
ხანგრძლივობა	30 თვე
ბიუჯეტი	ევროკავშირის კონტრიბუცია: 1.49 მილიონი ევრო
ვებგვერდი	www.fp7-myweb.eu